ჩემპიონატი

დაამატა **ერლან მანაშევმა**
http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8

“პიშჩევიკი" (მოსკოვი) - "დინამო" (თბილისი) - 0:5 (0:3)
22 ივნისი. მოსკოვი. სტადიონი "სტალინეცი". 15 000 მაყურებელი.
მსაჯი კ. კაპრანოვი (დონის როსტოვი).
გოლები: 0-1 პაიჭაძე (18), 0-2 ფროლოვი (29), 0-3 პაიჭაძე (35), 0-4 აფრიდონიძე (52), 0-4 პაიჭაძე (59).
პენალტი ვერ გამოიყენა გარნიკოვმა (65, მეკარე)

“პიშჩევიკი": ნიკანოროვი, კრიუჩკოვი, დინინი, რიტოვი, სავინი, გლაზოვი, ხომუტოვი, გარნიკოვი, ალექსეევი, ნიკიფოროვი, გალოჩკინი.

"დინამო": დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, ფროლოვი, კიკნაძე, გავაშელი, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, აფრიდონიძე.

თბილისის “დინამოს” ბრწყინვალე გამარჯვება 5:0

(მოსკოვი, დეპეშით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

22 ივნისს, თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა მოსკოვში ჩაატარა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ამ დღეს მათ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის “პიშჩევიკის” ოსტატთა გუნდი.

მოსკოველები მოედანზე გამოვიდნენ თავიანთი ძირითადი შემადგენლობით. თბილისელებს კი – აკლდათ სამი ძირითადი მოთამაშე – გავაშელი, გაგუა და სომოვი. მათ მაგივრად თამაშობდნენ სათადარიგო მოთამაშეები – ჯეჯელავა, კიკნაძე და აფრიდონიძე.

მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა (ატალახებული მოედანი) ორივე გუნდმა თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. პირველი 19 წუთის ბრძოლა შედეგს არ იძლევა. მე-20 წუთზე დაცვის ხაზიდან მიღებული ბურთით გარღვევაზე გადის პაიჭაძე. მის მიერ დარტყმული დაბალი და ძლიერი კუთხური ბურთი ვერ მოიგერია მეკარის სხარტმა ნახტომმა – ბურთი ბადეშია.

თბილისელთა უპირატესი თამაში აშკარად მოსჩანს. განსაკუთრებით მშვენივრად მიჰყავს თამაში თავდასხმის ცენტრს – პაიჭაძეს. კარგად თამაშობს აგრეთვე თბილისელთა ნახევარდაცვა და დაცვა. მე-25 წუთზე მოსკოველები ჯარიმდებიან 24 მეტრიანი არათავისუფალი გარტყმით. ფროლოვის მიერ დარტყმული ბურთის აღებას ამაოდ შეეცადა მეკარე. გაიზარდა ანგარიში 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ. საპასუხო ბურთისათვის მოსკოველები თავგამოდებით იბრძვიან, მაგრამ მათ არ აძლევს ამის შესაძლებლობას თბილისელთა ძლიერი დაცვა. თამაში კვლავ “პიშჩევიკის” საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობს. მე-41 წუთზე ბერეჟნოის მიერ მოწოდებულ ბურთს კარგად იყენებს პაიჭაძე და ადიდებს ანგარიშს თავისი გუნდის სასარგებლოდ.

პირველი ტაიმი დამთავრდა – 3:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი თბილისელთა თავბრუდამხვევი ტემპიანი თამაშით მიმდინარეობს. მე-7 წუთზე აფრიდონიძისაგან მიღებულ ბურთს ბერეჟნოი ახვევს მოწინააღმდეგის ბადეში. მე-26 წუთზე “დრიბლინგების” ოსტატი – პაიჭაძე ლამაზად უსხლტება ნახევარდაცვის და დაცვის ხაზს – “მკვდარი” ბურთი ბადეშია.

ტაიმის უკანასკნელ წუთებში მოსკოველებს ეძლევათ მშრალი ანგარიშისაგან თავის დაღწევის საშუალება – “პენალტი”. მეკარე დოროხოვმა შესანიშნავად მოიგერია 11 მეტრიანი საჯარიმო გარტყმა.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვებით – 5:0.

“მუშა”, 23 ივნისი, 1938 წ.